მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2022 წელი, №1

ახალი საჯრედბულოს შემადგენლობა

როგორც ყველას მოგეხსენებათ გასული წლის ოქტომბრიდან, არჩევნების შემდგომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობა შეიცვალა.

წარმოგიდგენთ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატთა სიას.

მაიზერ ჯაფარიძე - საკრებულოს თავმჯდომარე.

ზაურ ჩართოლანი - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ვალოდია ჭკადუა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

იგორ რატიანი - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

შორენა ცინდელიანი - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

მაია ხორგუანი - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

როდამ გვარმიანი - საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ბაჩუკი ნაკანი - ეკონომიკის საკითხთა და ტურიზმის განვითარების კომისიის თავმჯდომარე

ზაზა ფალიანი - ურბანული განვითარების კომისიის თავმჯდომარე

ლაშა პირველი - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე

გიორგი დადვანი - ფრაქცია „სვანეთის დანვითარებისთვის“ თავმჯდომარე

დავით გვიჩიანი - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე

შოთა - გულედანი - საკრებულოს წევრი

ირაკლი გირგვლიანი - საკრებულოს წევრი

ლაშა პაკელიანი - საკრებულოს წევრი

ბაქარი კვიციანი - საკრებულოს წევრი

ანზორ რატიანი - საკრებულოს წევრი

გოჩა გიგლემიანი - საკრებულოს წევრი

კახა გუჯეჯიანი - საკრებულოს წევრი

მერაბ პაკელიანი - საკრებულოს წევრი

ლევანი ქალდანი - საკრებულოს წევრი

ლია ჩარკვიანი - საკრებულოს წევრი

თენგიზ დადეშქელიანი - საკრებულოს წევრი

ზურაბ ჯაფარიძე - საკრებულოს წევრი

მარგო კვანჭიანი - საკრებულოს წევრი

გიორგი გელოვანი - საკრებულოს წევრი

მაია ხერგიანი - საკრებულოს წევრი

ზვიადი ხარძიანი - საკრებულოს წევრი

მიხეილ რატიანი - საკრებულოს წევრი

მარიამ გელოვანი - საკრებულოს წევრი

ზურაბ დევდარიანი - საკრებულოს წევრი

გიორგი ხვისტანი - საკრებულოს წევრი

დავით ჯაფარიძე - საკრებულოს წევრი

ვუსურვებთ ნაყოფიერ საქმიანობას და წარმატებებს მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ.

მესტიაში უკვე შესაძლებელია ჰემოდიალიზის სერვისის მილება

მოხარული ვართ, რომ შეგვიძლია გაცნობოთ მნიშვნელოვანი სიახლე ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის !

დიალიზით მოსარგებლე ბენეფიციარებს საშუალება ეძლევათ, ადგილზე, მესტიის საავადმყოფო- ამბულატორიულ გაერთიანებაში მიიღონ ჰემოდიალიზის სერვისი.

პროგრამის მიზანია თირკმლის უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

წარსულს ჩაბარდება დრო, როდესაც ჰემოდიალიზისთვის პაციენტებს 140 კილომეტრის გავლა და ზუგდიდში მკურნალობა უწევდათ.

საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის - ზურაბ აზარაშვილის ინიციატივით, სამედიცინო ჰოლდინგის დირექტორის ჯაბა სირბილაძის და ადგილობრივი თვითმართველობის ძალისხმევით, პრობლემა უკვე გადაჭრილია.

დასაწყისისთვის, პაციენტებს მოემსახურებიან მოწვეული კადრები- ორი ნეფროლოგი და ორი ექთანი.

პარალელურად მოხდება ადგილობრივი კადრების გადამზადება.

(შერჩეულია 2 ექიმი და 2 ექთანი), რის შემდეგაც მათ უფლება მიეცემათ ადგილზე მოემსახურონ დიალიზით მოსარგებლე პაციენტებს.

მესტიის საავადმყოფო- ამბულატორიული გაერთიანება მადლობას უხდის დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე ჰოლდინგს და ადგილობრივ თვითმართველობას ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებისათვის.

სვანეთში მდებარე უსახელო მწვერვალს ავთანდილ იოსელიანის სახელი მიენიჭა

ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების მუდმივი პროპაგანდა და დამსახურებული ადამიანების ხსოვნის უკვდავყოფა აუცილებელ პირობას წარმოადგენს ახალგაზრდა თაობების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისა და საქართველოს ისტორიის საერთაშორისო ასპარეზზე გატანისთვის.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში ომის ვეტერანთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოსული განცხადების საფუძველზე, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოში შემოვიდა ინიციატივით მოხდეს უსახელო მწვერვალისთვის სახელის მინიჭება და ეწოდოს საქართველოს ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის სახელი.

საქართველოს ეროვნული გმირი, აფხაზეთის ომის მონაწილე, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ავთანდილ იოსელიანი ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა საქართველოს ეროვნული გმირისა და ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

ერთ-ერთი შეტაკების დროს ის სხეულით გადაეფარა მოწინააღმდეგის მიერ შემოგდებულ ხელყუმბარას და საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა გარშემომყოფი თანამებრძოლები.

გეოგრაფიული ობიექტი, რომლის სახელდებასაც ითხოვდა საინიციატივო ჯგუფი, წარმოადგენს უსახელო მწვერვალს გეოგრაფიული კოორდინატებით - ჩრდილოეთ განედის 43/05"20“ და აღმოსავლეთ გრძედის 42/50"17“. სიმაღლე ზღვის დონიდან 3557 მეტრი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა იმუშავეს. ჩატარდა შეხვედრები მოსახლეობასთან, გაიგზავნა დოკუმენტაციკა სახელდების კომისიაში მთავრობასთან შუამდგომლობის მიზნით.

სვანეთში მდებარე უსახელო მწვერვალს ავთანდილ იოსელიანის სახელი მიენიჭა

აღნიშნული საკითხი კანონით გათვალისწინებულ ვადებში გამოქვეყნებულ იქნა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფეისბუქის გვერდზე და მოსახლეობას საშუალება ჰქონდა გამოეთქვა მოსაზრება როგორც პირად შეხვედრებში, ასევე წერილობით და ელექტრონული ფორმით.

ირაკლი ჭკადუას სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფონდის დაფუძნება

23 მარტს, ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ძვირფას ადამიანს, ამქვეყნიდან ნაადრევად გასულ კაცს - ყველაზე მზრუნველ ადამიანს, უსიმპათიურეს ვაჟკაცს, დიდი ოჯახის შვილს, ჩუმ ქველმოქმედს ირაკლი ჭკადუას 37 წელი შეუსრულდებოდა.

სიტყვები უძლურია გადმოსცეს ის გულისტკივილი და სიცარიელე, რაც ათასობით ადამიანს მისმა გარდაცვალებამ დაუტოვა..

კომპანია AWARD HOLDING -ის დამფუძნებელი, წლების განმავლობაში, დედმამიშვილებთან ერთად დიდი ენთუზიაზმით ახორციელებდა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პროექტებს და პარალელურად, მუდამ გვერდში ედგა ადამიანებს..

ყველას, ვისაც ეს განსაკუთრებულად სჭირდებოდა..

ის ყველგან ეხმარებოდა ადამიანებს, საქართველოს ყველა კუთხეზე ფიქრს სწვდებოდა მისი კეთილი გული.

მის სიკეთეებზე ხმამაღალი საუბარი კი არასდროს უყვარდა.

თუმცა, მისი წლევანდელი დაბადების დღე სწორად ხმამაღალი განაცხადით შედგა.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის Rustaveli Theatre - რუსთაველის თეატრი შენობის სცენიდან, ნიკა ჭკადუამ საზოგადოებას მნიშვნელოვანი ამბავი, ოჯახის ერთობლივი გადაწყვეტილება ამცნო - დაფუძნდა ირაკლი ჭკადუას სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფონდი, სახელწოდებით. „სხივი“ (Ray)

ფონდი მოიცავს სამ მიმართულებას: მუსიკა, დრამა, ლიტერატურა და ხელს შეუწყობს ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას ქვეყნის მასშტაბით.

პროექტის პრეზენტაციისას აღინიშნა, რომ ფონდის ვებ. გვერდი ითარგმნა არაერთ, მათ შორის აფხაზურ ენაზეც.

ირაკლი ჭკადუას სახელობის საქველმოქმედო ფონდს გვერდში დაუდგებიან გამოცდილი რეჟისორები, კომპოზიტორები და პროზაიკოსები, რომელთა ჩართულობითაც, ხელოვნების სამივე სფეროში ყოველწლიურად ჩატარდება კონკურსები და ის ღია იქნება ყველასთვის, ვისაც სურს საკუთარი ნაშრომი წარადგინოს და წარმატების შემთხვევაში ბედი საერთაშორისო არენაზეც სცადოს.

ვულოცავთ საქართველოს ამ საქველმოქმედო ფონდის დაარსებას, რომელიც გვერდში დაუდგება ხელოვანებს და შემდგომში უამრავი ახალგაზრდის წარმატებას უზრუნველყოფს.

სწორედ ასეთი საქმეებით გააგრძელებს სიცოცხლეს ირაკლი ჭკადუა გარდაცვალების შემდეგაც.

ვულოცავთ ირაკლის, მის ძმებს, დაიკოსა და მშობლებს ამ ერთობ საპატიო საქმისათვის საფუძვლის ჩაყრას და ვუსურვებთ დიდ წარმატებებს..

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ახლადდანიშნული დირექტორის გვიან კვიციანის წარდგენა გაიმართა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა მესტიაში, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლებს და მოწვეულ სტუმრებს მუზეუმის ახლადდანიშნული დირექტორი ზვიად კვიციანი პირადად წარუდგინა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი ზვიად კვიციანი სვანეთის მუზეუმის დირექტორად 2021 წლის 30 დეკემბერს, კულტურის მინისტრის ბრძანებით დაინიშნა.

თეა წულუკიანმა ისაუბრა ზვიად კვიციანის წარმატებულ პროფესიულ საქმიანობაზე და აღნიშნა, რომ მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს სსიპ ეროვნული მუზეუმების გაერთიანებაში განსაკუთრებული, ავტონომიური სტატუსი მიენიჭა. ამიერიდან, სსიპ ეროვნული მუზეუმის დირექტორატს ზვიად კვიციანის სახით ახალი, მე-5 წევრი შეემატება და ეროვნული მუზეუმის მართვაში სვანეთის მუზეუმიც მიიღებს მონაწილეობას. მოცემული ცვლილება არის გაგრძელება იმ სამუზეუმო რეფორმის, რომელიც გულისხმობს კარგი მმართველობის თანამედროვე პრინციპების დანერგვას მუზეუმებში და რომლის ფარგლებშიც, 2021 წლის გაზაფხულზე, კულტურის მინისტრის გადაწყვეტილებით, ეროვნულ მუზეუმს უკვე გამოეყო მუზეუმთა ჯგუფები და ჩამოყალიბდა 4 მუზეუმი/მუზეუმთა ჯგუფი: 1. შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი; 2. სპორტის მუზეუმი; 3. გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი; 4. სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი, რომელიც ასევე მოიცავს დანარჩენ, 7 მუზეუმს და ორ კვლევით ცენტრს და აქამდე მოიცავდა სვანეთის მუზეუმსაც.

ღონისძიების ფარგლებში მინისტრმა მოწვეულ სტუმრებს კულტურის სამინისტროს შექმნიდან დღემდე სამუზეუმო სფეროში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. თეა წულუკიანმა ყურადღება გაამახვილა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმსა და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაზე, ისაუბრა ეროვნული გალერეის რეაბილიტაციის, ჩატარებული და დაგეგმილი გამოფენების შესახებ, ასევე, ხელოვნების მუზეუმის შენობის რეაბილიტაციასა და ამ პერიოდში ექსპონატების დროებით უსაფრთხო სივრცეში დაბინავების საკითხზე.

ღონისძიების ფარგლებში, მესტიის მუნიციპალიტეტის მერმა კაპიტონ ჟორჟოლიანმა თეა წულუკიანს მესტიის საპატიო მოქალაქის სიგელი გადასცა. ამასთან, ღონისძიებაზე მეცნიერების მიერ სვანეთის ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის ქართველი საზოგადო მოღვაწის, ეთნოგრაფის, მკვლევარისა და მუზეუმის ერთ-ერთი დამაარსებლის, ეგნატე გაბლიანის სახელის მინიჭების საკითხი იქნა წამოჭრილი, რასაც კულტურის მინისტრი დადებითად გამოეხმაურა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 30 დეკემბრის ბრძანების თანახმად, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორს დაევალა მოცემულ პოზიციაზე დანიშვნიდან 2 თვის ვადაში შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის ინვენტარიზაცია და მათი წესრიგში მოყვანისათვის აუცილებელი ღონისძიებების ნუსხის მინისტრისათვის წარდგენა. მუზეუმის დირექტორს ასევე დაევალა, დანიშვნიდან 4 თვის ვადაში სამინისტროს წარმომადგენლის ჩართულობით, სამუზეუმო ექსპონატების აღწერა/დადარების პროცესის წარმართვა, დასრულება და მინისტრისათვის შესაბამისი ანგარიშის წარდგენა, რათა ნათელი იყოს, როგორი ინფრასტრუქტურა და რა ქონება გადაიბარა მუზეუმის ახალმა დირექტორმა.

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის წარდგენას ესწრებოდნენ ადგილობრივი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სკოლების დირექტორები და ისტორიის მასწავლებლები, ასევე სამუზეუმო და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლები. ღონისძიება მუსიკალურად ანსამბლმა „რიჰომ“ გააფორმა.

ინფორმაციის წყარო - სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის facebook გვერდი

„ევროპის დღეები 2022"

23 მაისს, საკრებულოს საკონფერენციო დარბაზში საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, „ევროპის დღეები 2022„-ის ფარგლებში, დაბა მესტიის სკოლების მოსწავლეებსა და პედაგოგებთან ევროინტეგრაციის საკითხებზე შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას უძღვებოდა საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ სამეგრელო-ზემო სვანეთის ბიუროს წარმომადგენელი ანა ცანავა. მომხსენებელი მონაწილეებს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების დინამიკაზე, ევროინტეგრაციის პროცესში არსებულ ხელშესახებ შედეგებზე, გამოწვევებსა და სამომავლო პერსპექტივებზე ესაუბრა. ასევე, ყურადღება გაამახვილა საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადსა და შემდგომ ნაბიჯებზე.

შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. ამასთანავე, მომხსენებელმა მონაწილეებს საინფორმაციო ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გააცნო და ხაზი გაუსვა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ანტიდასავლური პროპაგანდის მიმართ მედეგობის გაზრდის მნიშვნელობას.

შეხვედრის დასასრულს მონაწილეებს საინფორმაციო ცენტრის მიერ გამოცემული ლიტერატურა და საიმიჯო მასალები გადაეცათ.

შეხვედრა მესტიის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან თანამშრომლობით გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ წელს ევროპის დღეები საქართველოში უკვე მეათედ იმართება, რომელსაც საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ ახორციელებს.

ევროპის დღეების მიზანია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის შესახებ საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ჩართულობის გაზრდა. მზარდი ანტი-დასავლური პროპაგანდის ფონზე, მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან ინტენსიური დიალოგი და მოქალაქეების აღნიშნულ პროცესში აქტიური ჩართვა, რაც თავის მხრივ, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მიმართ საზოგადოების მხარდაჭერის წინაპირობაა.

ექთნის საერთაშორისო დღე მესტიაში

ჩვენი მუნიციპალიტეტის ფარგლებს დიდი ხანია გასცდა ლახამულელი ავთანდილ ჭკადუასა და მისი მეუღლის- ქალბატონ ნინელი ეჯიბაძის სახელი.

მათ ოთხი ღირსეული, წარმატებული და განათლებული შვილი აღუზარდეს სამშობლოს.

ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში აშენებული ყველაზე კაპიტალური გზები ამ ოჯახის წევრების მიერ დაფუძნებული კომპანიის „AWARD HOLDING“ თავდაუზოგავი შრომის შედეგია!

ავთო ჭკადუას ოჯახი მუდამ აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში, მათი სახლის კარები კი მუდამ ღია ნებისმიერი ადამიანისთვის. ვინ მოთვლის რამდენ ოჯახს მოფერებიან ეს ადამიანები, რამდენისთვის გაუწვდენიათ დახმარების ხელი და რა უკიდეგანო სიყვარულით უცხოვრიათ მუდამ!

რთული შეიქმნა ცხოვრება

მშობლებისა და დედმამიშვილებისთვის ირაკლის იმქვეყნად გადანაცვლების შემდეგ.

უამრავ ადამიანს ატკინა გული ირაკლი ჭკადუას გარდაცვალებამ. საქართველოს ყველა კუთხეში იცნობდნენ მას.. ის დიდი ქველმოქმედი, ყველას მეგობარი და უჩუმრად სიკეთის გამკეთებელი კაცი იყო.

წავიდა მაგრამ ისევ ჩვენთანაა.. ოჯახის ერთსულოვნებითა და მტკიცე გადაწყვეტილებით, ისევ ჩვენს შორისაა დიდი საქმეებით..

თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში გამართულ ღონისძიებაზე, ნიკა ჭკადუამ სრულიად საზოგადოებას ამცნო ირაკლის სახელობის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „რეი“ დაარსება.

ფონდის სლოგანია ხელოვნება და მისი მიზანია ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსების, მწერლებისა და დრამატურგების გამოვლენა ქვეყნის მასშტაბით, კონკურსების ჩატარება და გამარჯვებულთა საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანა, ირაკლის მიზნებისა და ჩანაფიქრების განხორციელება.

ოჯახი ისევ აგრძელებს ადამიანებზე ზრუნვას

ირაკლის დედა- ქალბატონი ნინელი ეჯიბაძე, ყველაზე სათნო და გულისხმიერი ადამიანი, პროფესიით ექთანი გახლავთ.

სწორედ ქალბატონ ნინელი ეჯიბაძის ინიციატივითა და ორგანიზატორობით ჩატარდა 12 მაისს, ექთნების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება მესტიაში, ლეო ფილფნის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში.!

მედდების მოსაფერებელ ღონისძიებას ესწრებოდნენ მესტიის საავადმყოფო -ამბულატორიული გაერთიანებისა და მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის მედიკოსები. ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

ღონისძიებას უძღვებოდა ოჯახის მეგობარი ქალბატონი ლალი მარგიანი - სოფელ ხოჯორნის

სომხურ-აზერბაიჯანული სკოლის კონსულტანტ-მასწავლებელი, ქვეყნის მასშტაბით არაერთი პროექტის ინიციატორი, ყველასთვის საყვარელი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მაიზერ ჯაფარიძემ, მესტიის საავადმყოფო- ამბულატორიული გაერთიანების

დირექტორმა, ბატონმა თეზო ჩართოლანმა.

ექიმებმა: ქალბატონმა ლილი ჯაფარიძემ, ნათია გურჩიანმა, სვეტლანა ნავერიანმა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დირექტორმა ქალბატონმა ნია ბჟალავამ. ადგილობრივი გაზეთის „ლილე“ რედაქტორმა- ირმა ჯაჭვლიანმა.

სიტყვით გამოვიდნენ ასევე ბატონი ივერი ჭელიძე, ქალბატონები: ელენე განაია, მარიჯან ჭკადუა, ნანა ნიჟარაძე, ფარის საჯარო სკოლის პედაგოგი, ეკატერინე წულუკიძე და ლახამუ-

ლის სკოლის დირექტორი, ნაზი ჭიღლაძე.

ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა მომღერალი დავით ნავერიანი და ტრიო „ირინოლა“, ქალბატონ იამზე ფილფანის ხელმძღვანელობით

ქალბატონმა ნინელი ეჯიბაძემ, რომელიც ათეული წლებია, რაც ლახამულის საექიმო ამბულატორიის მედდაა, მადლობა გადაუხადა კოლეგებს კეთილსინდისიერი საქმიანობისათვის, ასევე დამსწრე საზოგადოებას ირაკლის ხსოვნის პატივისცემისთვის და ისაუბრა ფონდის სამომავლო გეგმების შესახებ.

ირაკლი ჭკადუას დამ, ქალბატონმა სოფა ჭკადუამ სპეციალურად ამ დღისთვის დაწესებული სამახსოვრო საჩუქრები გადასცა მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების დირექტორს თეზო ჩართოლანს, მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელს ნია ბჟალავას, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების მესტიის რაიონული სამსახურის ხელმძღვანელს, ელისო ზურეგიანს.

ქალბატონმა ელენე განაიამ ფონდის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდოები გადასცა უხუცეს ექიმს, ყველასთვის ძვირფას ადამიანს ქალბატონ ლილი ჯაფარიძეს, უხუცეს ექთანს, ქალბატონ ქეთო ფალიანს და ქალბატონ ნინელი ეჯიბაძის ფავორიტს, წვირმის საექიმო ამბულატორიის ტერიტორიული ერთეულის სოფელ იელის მედდას - მაია თირქიას.

მედდების საერთაშორისო დღის ასეთი ლამაზი აღნიშვნით ნინელი ეჯიბაძემ მოგვცა მაგალითი მოყვასის სიყვარულისა, შრომის დაფასებისა და სიკეთისა. ეს ხომ ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა ადამიანის ცხოვრებაში.

კიდევ ერთხელ ქედს ვიხრი ყველა გულისხმიერი მედიკო-

სის წინაშე და მადლობას ვუხდი პროფესიულ კოლეჯს „თეთნულდი“, რომელიც მუდამ აღაფრთოვანებს ადამიანებს

არაჩვეულებრივი „ფურშეტით“

მადლობა ირაკლი ჭკადუას მის მიერ განვლილი გზისთვის, მის ოჯახს კი ირაკლის სახელის უკვდავსაყოფად გადადგმული თითოეული ნაბიჯისათვის, სიკეთეებისთვის, საქვეყნო გეგმებისა და სიყვარულისთვის !

მესტიის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე FLEX -ის გამარჯვებული გახდა

მესტიის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე ლიზი ჯაფარიძე მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის

(FLEX) გამარჯვებული გახდა და სწავლას აშშ- ში აგრძელებს!

პროგრამის ფარგლებში ლიზი სხვადასხვა საგანმანათლებლო, სპორტულ და კულტურულ აქტივობებში ჩაერთვება, გაეცნობა ამერიკული განათლების სისტემას და გაუზიარებს ქართულ კულტურას მის თანატოლებს.

ლიზი ძალიან აქტიური და მიზანდასახული მოსწავლეა. საბოლოო პროფესიად სამართალმცოდნეობას ირჩევს და სურს ამ კუთხითაც გაიღრმავოს ცოდნა.

წარმატებულ მომავალს და ყველა ოცნების ახდენას ვუსურვებთ მას.

წარმატებები ჩვენს მეკლდეურებს

მიმდინარე წლის მარტში საქართველოს მეკლდეურობის ეროვნულმა ფედერაციამ ოლიმპიური მზადების ფარგლებში ჩასატარებელი შეჯიბრი დაასრულა. პარიზის ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ პროგრამაში შეირჩა საუკეთესო დროის მქონე ორი სპორტსმენი. შესარჩევ შეჯიბრში გამარჯვებულები არიან გიორგი ჯაფარიძე და გიგა ჯანხოთელი. გიორგი და გიგა 6 თვით იტალიაში გაემგზავრნენ სადაც გაივლიან მომზადებას და ლიცენზიის ასაღებად იბრძოლებენ. დაბრუნების შემდეგ კი ადგილზე გადაამზადებენ ახალგაზრდებს.

ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ პროგრამაში ჩართული ათლეტები ყოველდღიურად გადიან ვარჯიშებს უცხოელ, საერთაშორისო დონის ინსტრუქტორთან ერთად, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს იტალიაში.

წარმატებებს და წინსვლას ვუსურვებთ ჩვენს სპორტსმენებს.

დედას დღიურები

ყველა ქართველისთვის დღემდე მტკივნეული თემაა აფხაზეთი, მშობლიური აფხაზეთი, რომელიც მოღალატეობრივი პოლიტიკის თუ ათასი ჯურის სეპარატისტების აგრესიით იქნა დაპყრობილი და ნაცარტუტად ქცეული. ასი ათასობით ქართველი დევნილად იქცა საკუთარ ქვეყანაში. ათასობით უდანაშაულო ადამიანი, ბავშვი, ქალი შეეწირა ამ ომს. ახალდაბაში ყველაზე დაუნდობელი დღეები იდგა მაშინ. ნაწამები ტყვეებით, გადამწვარ გადაბუგული სახლებით, დახვრეტილი ადამიანებით აივსო იქაურობა. ახალდაბაში, სახლის უკან თხრილში პარალიზებულ დედასთან ერთად დამალული ტანია თოდუა თითოეულ დღეს აღწერდა მის დღიურებში. ისინი მხოლოდ 33 დღის შემდეგ გამოვიდნენ სამშვიდობოს. თუ რა ჯოჯოხეთური ტანჯვა გაიარეს ამ დღეების მანძილზე, გაეცნობით ირმა ჯაჭვლიანის წიგნში ,,დედას დღიურები" , რომელიც ახლახან გამოიცა და გაყიდვაშია. სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინელ ხალხს და უფალს ვთხოვთ, რომ არასდროს განმეორდეს ის, რაც იყო... ვისურვებდით, მალე დაწერილიყოს წიგნი ,,შინ დაბრუნება".

მესტია უკრაინისთვის

ძვირფასო სვანებო და ჩვენი მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებო, მოგმართავთ უკრაინაში არსებული უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე.

უკრაინა, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მოკავშირე და მეგობარი ქვეყანა, დღეს თავგანწირვით იბრძვის თავისუფლების და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. უკრაინელი ხალხის ერთობა და პატრიოტიზმი, რომელსაც ის დღევანდელ საომარ პირობებში ავლენს, სამაგალითო გახდა მსოფლიოსთვის. დღეს, ვის, თუ არა ჩვენ, ქართველ ხალხს, ყველაზე კარგად გვესმის რას ნიშნავს, საკუთარი სამშობლოსთვის ბრძოლა, საკუთარი სახელმწიფოს ერთიანობის დაცვა.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი უკვე მეგობრობს ობუხოვის ოლქთან, ამ ოლქში შემავალ ქალაქ უკრაინკასთან და ლვოვის ოლქის ქალაქ სლავსკესთან.

რაც უკვე მეოთხე წელია არაერთი კულტურული, ახალგაზრდული თუ ტურისტული, ერთობლივი ღონისძიებით გამოიხატება.

მათ ახლა ყველაზე მეტად სჭირდებათ ჩვენი თანადგომა

ამ მძიმე პერიოდში, გამოვთქვამთ რა უკრაინელი ხალხისადმი სოლიდარობას, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მოსახლეობასთან შეთანხმებით მივიღეთ გადაწყვეტილება და მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო თანხა 20 000 ლარის ოდენობით.

ამ თანხით შეძენილი პირველადი სამედიცინო დახმარების მედიკამენტები და სხვადასხვა სამედიცინო პრეპარატები უკრაინაში უკვე გაიგზავნა.

უკრაინელი ხალხის დახმარების მიზნით, დამატებით, გახსნილია სპეციალური ანგარიში - GE11BG0000000528667587, სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22; მიმღები - თეიმურაზ ნავერიანი (მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი) - გთხოვთ, დანიშნულებაში მიუთითოთ „მესტია უკრაინისთვის“.

შეგროვებული თანხა მოხმარდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და საქართველოში უკრაინის საელჩოსთან კოორდინაციის საფუძველზე გამოკვეთილ პირველად საჭიროებებს.

აქვე, მუნიციპალიტეტის სახელით მადლობას ვუხდით ყველა იმ ადგილობრივ სასტუმროს თუ კერძო ბიზნესის წარმომადგენელს, რომელთაც ამ დღეებში გამოიჩინეს გულისხმიერება და თანადგომა მუნიციპალიტეტში მყოფი უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქეების მიმართ“

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე,
მაიზერ ჯაფარიძე

28 თებერვალი, 2022 წელი

დამატებითი ინფორმაციისთვის: +995595089530

პატივისცემით,
მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე-
მაიზერ ჯაფარიძე

დედაენის დღე

მესტიის მიხეილ ხერგიანის სახელობის მეორე საჯარო სკოლა ყოველთვის გამოირჩევა განსაკუთრებული აქტიურობით.

ამ ეტაპზე სკოლაში დედა ენის დღესთან დაკავშირებით „დედა ენის კვირეული“ ჩატარდა.

კვირეულში მონაწილეობა მიიღო ყველა კლასმა, პირველიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით.

პირველ დღეს ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი, მოსწავლეებმა თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს და გამოფინეს სკოლის ფოიეში, მეორე დღეს კვირეულის ფარგლებში კედლის გაზეთების კონკურსი მოეწყო, თითოეულმა კლასმა საკუთარი კედლის გაზეთი წარადგინა, თემა შესაბამისად, დედა ენას შეეხებოდა.



მესამე დღე გაგრძელდა ესეების კონკურსით, სადაც მოსწავლეებმა მშობლიურ ენას საკუთარი ნააზრევი მიუძღვნეს'

მეოთხე დღე, 14 აპრილი კი გრანდიოზული ღონისძიებით აღინიშნა.

დედაენის დღე ცეკვა-სიმღერითა და პოეზიით იყო გაჯერებული.

კვირის ბოლო დღეს კი ლიტერატურული კლუბის "მიჟ“ დაფუძნება აღნიშნეს.

ლიტერატურული კლუბი „მიჟ“ არის მეორე საჯარო სკოლის ბაზაზე

ჩამოყალიბებული კლუბი, საერთო ინტერესებისა და მოტივაციების მქონე მოსწავლეთა გაერთიანება.

მისი ლიდერ-წევრები არიან სკოლის მეთერთმეტე კლასელები, რომლებსაც მოვალეობები გადანაწილებული აქვთ.

კლუბის კურატორი გახლავთ ქართულის მასწავლებელი ქალბატონი თაკო საჯაია.

კლუბის მიზანი და ამოცანები:

1.ლიტერატურის პოპულარიზაცია;

2.მოსწავლეებში წიგნიერებისადმი ინტერესის გაზრდა და 3.ლიტერატურული გემოვნების დახვეწა;

4.მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარება;

5. მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარება;

6.სალონური ტიპის საღამოების ჩატარება;

7.მწერლებთან და პოეტებთან შეხვედრა, დისკუსია;

8.კონკურსების ჩატარება,

ინტელექტუალური, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება;

9.საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელება;

10. ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მოძიება-გამოქვეყნება(განსაკუთრებით სვანური მითოლოგიიდან)

11. ქართული და არა მარტო ხალხური ზღაპრების ეკრანიზაცია და პოპულარიზაცია

12. ინტერვიუების წარმართვა და მათი გამოქვეყნება.

კლუბი პროექტებს განახორციელებს რაიონის ფარგლებში და მის გარეთაც.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება სხვა სკოლებთან ურთიერთობაც.

კლუბის წევრობა შეეძლება ნებისმიერი კლასის მოსწავლეს.

მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დედაენის კვირეული ეთნოგრაფიულ მუზეუმში სტუმრობით დააგვირგვინეს. მოსწავლეებმა პედაგოგებთან ერთად დაათვალიერეს ხელნაწერთა დარბაზი,

ასევე მხატვარ ჯიმშერ გუჯეჯიანის არაჩვეულებრივი გამოფენა, დაესწრნენ ფილმის ჩვენებას და აკინძეს საკუთარი წიგნი.

დიდია მსგავსი აქტივობების მნიშვნელობა მოზარდთა ცოდნის გაღრმავებისა და ემოციური ინტელექტის განვითარების თვალსაზრისით. წარმატებებს ვუსურვებთ მეორე საჯარო სკოლას და აქვე მოგახსენებთ, რომ ჩვენ ყოველთვის სიამოვნებით გავაშუქებთ მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის საქმიანობას.

ომში გმირულად დაღუპული
დავით რატიანი

რუსეთ-უკრაინის ომს შეეწირა ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრი დავით რატიანი -ყველასთვის ძვირფასი ადამიანი, ქართული შეიარაღებული ძალების სპეც.რაზმის ყოფილი წევრი, რომელიც ომის დაწყებისთანავე უკრაინაში გაემგზავრა და დღეს რუსული აგრესიის მსხვერპლი გახდა.

დათო რატიანის სიცოცხლე ოკუპანტების საარტილერიო თავდასხმას მაშინ ემსხვერპლა, როცა რუსულმა ტანკებმა მიზანში ქართული ლეგიონი ამოიღეს.

დათო რატიანის მაღალადამიანურ თვისებებზე, პატრიოტიზმსა და ვაჟკაცობაზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი.

დასანანია ასეთი ახალგაზრდის გარდაცვალება. ის რუსული აგრესიის ქართველი გმირია და მისი სახელი მუდამ დარჩება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი გმირი მებრძოლების სულებს.

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი, ნინო ნაკანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გამომცემლობა კოლორში“

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45
ირმა ჯაჭვლიანი
ელ. ფოსტა:
Irma_ushba@yahoo. com